

შპს „ნიში“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობა			
ფინანსური მდგომარეობა	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	154 899,00	184 236,00	11 062,00
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	386 072,00	377 081,00	467 101,00
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	726 827,00	1 032 331,00	307 251,00
მარაგები	-	-	267,00
მზა პროდუქცია	-	-	-
სხვა	-	-	267,00
საინვესტიციო ქონება	-	-	-
სხვა მოკლევადიანი აქტივები	-	-	-
ბიოლოგიური აქტივები	-	-	-
თვითღირებულების მოდელით	-	-	-
გადაფასების მოდელით	-	-	-
გუდვილი	-	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები	-	-	-
ძირითადი საშუალებები	22 583,00	-	-
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	-	-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	-	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	-	-
სულ აქტივები	1 290 381,00	1 593 648,00	785 681,00
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	-	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	305 503,00	85 140,00	16 000,00
ანარიცხები	-	-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	30 251,00	19 001,00	-
საგადასადო ვალდებულებები	-	-	1 284,00
გამომუშავებული შემოსავალი	-	-	-
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	-	-	-
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	1 177 725,00	1 331 233,00	946 475,00
მიღებული გრანტები	-	-	-
სხვა ვალდებულებები	-	-	-
სულ ვალდებულებები	1 513 479,00	1 435 374,00	963 759,00
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	-	-	-
საემისიო შემოსავალი	-	-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	- 223 098,00	158 274,00	- 178 078,00
გადაფასების რეზერვი	-	-	-
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	-	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი	- 223 098,00	158 274,00	- 178 078,00
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1 290 381,00	1 593 648,00	785 681,00
სულ მოკლევადიანი აქტივები	540 970,00	615 074,00	11 062,00
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	-	-	-
კაპიტალიზირებული განვითარების დანახარჯები	-	-	-

საქმიანობის შედეგები		
საქმიანობის შედეგები	31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები	3 087 773,00	3 076 666,00
საქონლის გაყიდვიდან	-	-
მომსახურების გაწევიდან	3 087 182,00	3 076 666,00
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	-	-
სხვა	591,00	-
გაყიდვების თვითღირებულება	-	-
საწყისი მარაგები	-	-
მარაგების შესყიდვა	-	-
გადამუშავების დანახარჯები	-	-
საბოლოო მარაგები	-	-
საერთო მოგება	3 087 773,00	3 076 666,00
სხვა საოპერაციო შემოსავალი	-	7 109,00
დასაქმებულთა ანაზღაურება	- 365 765,00	- 165 695,00
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	- 2 556,00	-
საპროცენტო შემოსავალი	-	50 012,00
საპროცენტო ხარჯი	-	- 91 679,00
იჯარის ხარჯი	- 8 764,00	-
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	- 3 092 060,00	- 2 540 061,00
სულ საოპერაციო ხარჯები	- 3 469 145,00	- 2 740 314,00
საოპერაციო მოგება	- 381 372,00	336 352,00
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-	-
მიღებული დივიდენდები	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-	-
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	- 381 372,00	336 352,00
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	- 381 372,00	336 352,00
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	-	-

სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	-	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	- 381 372,00	336 352,00
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	158 274,00	- 178 078,00
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	-	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	- 223 098,00	158 274,00
კვლევისა და განვითარების ხარჯები	-	-

ფინანსური ანგარიშგების ახსნა - განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს ნიში ს/კ 406051695, დაფუძნდა 2011 წლის 15 ივლისს. დაფუძნების დღიდან კომპანიის ძირითად საქმიანობას სატრანსპორტო მომსახურების გაწევა წარმოადგენს და მონაწილეობას ღებულობს სხვადასხვა ტენდერებში სატრანსპორტო მომსახურების შეთავაზების მიზნით.

2013 წლიდან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაიწყო „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ პროგრამა, რომლის ფარგლებში ტრანსპორტი ემსახურება ყველა იმ მოსწავლეს, რომელსაც აქვს სკოლამდე მანძილის დაფარვის, რთული კლიმატური და გეოგრაფიული პირობების გამო გადაადგილების პრობლემა, ასევე იმ მოსწავლეებს, რომლებიც სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო გადაყვანილები არიან ახლომდებარე სკოლებში.

შპს ნიში აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ახდებს მაღალმთიან რეგიონებში სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირებას.

შპს ნიში წლების განმავლობაში ემსახურება სახელმწიფოებრივად უმნიშვნელოვანეს და სენსიტიურ პროექტს - „ბავშვების უსაფრთხო და დროული ტრანსპორტირება სკოლაში, რითაც ხდება სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ხელის შეწყობა“, ხოლო დაგროვილი გამოცდილებით მიაღწია იმას, რომ ირიცხება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თეთრ სიაში.

2. ანგარიშგების მომზადების საფუძველი

2.1 წარდგენის საფუძვლები

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება წარედგინება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს, 2016 წლის 8 ივნისის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად.

2.2 აღრიცხვის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საშუალო და მცირე საწარმოთა საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (IFRS for SMEs) შესაბამისად, რომელიც მოქმედია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2.3. საქმიანობის უწყვეტობა

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით.

აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს არა მხოლოდ საწარმოს განზრახვას, გააგრძელოს ფუნქციონირება, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, არამედ მისი უწყვეტი საწარმოო ფუნქციონირების უნარსაც.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

3.1 ვალუტა

შპს „ნიში“-ს მთავარი საოპერაციო ვალუტა არის ლარი, ვინაიდან ლარი არის საქართველოს მთავარი საოპერაციო ვალუტა.

3.2 ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები წარმოადგენს ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

3.3 შემოსავლების აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს რეალიზებული მომსახურების მისაღები თანხის ოდენობას. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და მოსალოდნელია, რომ მოცემული მომსახურებიდან კომპანია მიიღებს შეთანხმებულ სარგებელს.

3.4 სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა.

3.5 ხარჯები

ხარჯის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ის წინასწარ იდენტიფიცირებულია - შეძენა, მომსახურების მიღება ან სხვ. პასუხისმგებლობის შექმნა. მიუხედავად იმისა, თანხა გადახდილია თუ არა.

3.6 ძირითადი საშუალებების აღრიცხვა და ამორტიზაცია

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია შეძენის ღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთის თანხით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია ინდივიდუალურად და მერყეობს 3 - დან 10 წლამდე. აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

3.3. იჯარა

იჯარა აღიარდება ფინანსურ იჯარად თუ ხორციელდება აქტივთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკის და სარგებლის გადაცემა, სხვა დანარჩენი იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა და გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით, დარიცხვის მეთოდით.

3.5. ხელფასი

ხელფასი, ბონუსი და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით, იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო დასაქმებულისგან კომპანიამ.

3.6. საშემოსავლო გადასახადი

კომპანია საშემოსავლო გადასახადს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთით - 20% იხდის.

3.7. დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების , ხარჯების და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადი თანხის გამოკლებით.

ბესიკ ნათუნაძე

დირექტორი